

შ.პ.ს "სქაი ლოჯისტიკს"
2018 წლის ფინანსური ანგარიში

სარჩევი

შემოსავლების ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულის ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-12

შემოსავლების ანგარიშგება

	2018	2017
შემოსავალი მომსახურებიდან	5032645.00	6149852.00
საქონლის გაყიდვიდან	0.00	0.00
მომსახურების თვითღირებულება	(3231480.00)	(3878515.00)
საერთო მოგება	1801165.00	2271337.00
მიწოდების ხარჯები	0.00	0.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1692541.00)	(1950769.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22180.00)	(2958.00)
საპროცენტო ხარჯი	(24079.00)	(2425.00)
იჯარის ხარჯი	0.00	(39813.00)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(196683.00)	(82406.00)
საოპერაციო მოგება/ზარალი	(134318.00)	192966.00
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(26893.00)	(8523.00)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	3045.00	(10837.00)
მოგება დაბეგვრამდე	(158166.00)	173606.00
მოგების გადასახადი	0.00	0.00
მოგება/ზარალი	(158166.00)	173606.00
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	0.00	0.00
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	(158166.00)	173606.00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
ფული და ფულის ეკვივალენტები	209358.00	24163.00	145121.00
სავაჭრო მოთხოვნები	659395.00	682727.00	524803.00
გადახდილი ავანსები	0.00	1330.00	4459.00
სხვა მიმდინარე აქტივები	11440.00	16320.00	0.00
სულ მიმდინარე აქტივები	880193.00	724540.00	674383.00
ძირითადი საშუალებები	1222322.00	604535.00	384047.00
სულ აქტივები	2102515.00	1329075.00	1058430.00
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	438909.00	0.00	0.00
სავაჭრო ვალდებულებები	1343251.00	797525.00	758943.00
საგადასახადო ვალდებულებები	0.00	0.00	37294.00
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	304915.00	357944.00	0.00
სულ ვალდებულებები	2087075.00	1155469.00	796237.00
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	15440.00	173606.00	262193.00
სულ საკუთარი კაპიტალი	15440.00	173606.00	262193.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2102515.00	1329075.00	1058430.00

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	2018	2017
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	173606.00	262193.00
განაწილება მესაკუთრეზე (მათ შორის დივიდენდი)	0.00	(262193.00)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(158166.00)	173606.00
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	15440.00	173606.00

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	191959.00	(124164.00)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0.00	0.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	191959.00	(124164.00)
სავალუტო კურსის ეფექტი	(6764.00)	3206.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	24163.00	145121.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	209358.00	24163.00

შპს „სქაი ლოჯისტიკს“-ის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „სქაი ლოჯისტიკს“ (შემდგომში კომპანია) სამეწარმეო რეესტრში ჩართვის თარიღია 2015 წლის 18 ნოემბერი, მისი საიდენტეფიკაციო ნომერია 404503998, იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, შატერაშვილის ქუჩა, მე-2 შესახვევი, N2, კომერციული ფართი N2

კომპანიის მესაკუთრე წილის მმართველები არიან:

გიორგი გოდაბრელიძე 01017009750 -20%.

შ.პ.ს „ალფა გრუპ“ 416338500 -80%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო მომსახურეობის გაწევა, ძირითადად ტვირთის საჰაერო გადაზიდვებით იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი.

2.ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

შესაბამისობა

შპს „სქაი ლოჯისტიკს“-ის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული 'ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების' (შემდგომში „ფას“) შესაბამისად. სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარული წელს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშები წარმოდგენილია ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისათვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, ან მისი გამოვლა შესაბამისი ტექნიკის მეშვეობით.

ანგარიშები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშება ხელმძღვანელის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია

ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

3.ქვემოდ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და

კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი (2018 წელი), ფინანსური ანგარიშების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა ანგარიშგებას;
- გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით, ელექტრონულად, საბუღალტრო პროგრამა „ორის“-ში, კომპანია მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან. ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს 16 - ის მოთხოვნით, კერძოდ გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

- ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.
 - ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს 16 - ის მოთხოვნა კომპანიას დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:
- თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

ცვეთა

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი. აღიარების შესყიდვა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან როდესაც მისი გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ამონაგების აღიარება, მომსახურებისა და დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

კომპანია კლიენტს უწევს აგენტის მომსახურებას და უზრუნველყოფს საერთაშორისო ტრანსპორტირებითა და ლოგისტიკური მომსახურებით. ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება. ამონაგების აღიარება მომსახურებიდან ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. როგორც წესი, აღიარების კრიტერიუმი გამოიყენება ცალ-ცალკე თითოეული ოპერაციის მიმართ. ამონაგების აღიარება ხდება, მაშინ როდესაც საწარმო მიიღებს მოცემული ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგების საიმედო შეფასების გაკეთება ხდება მას შემდეგ, როდესაც შეთანხმება მხარეების მიერ ხდება გაწეულ და მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით თითოეული მხარის იურიდიული ძალის მქონე უფლებებზე, ანაზღაურებაზე და ანგარიშსწორების წესებსა და პირობებზე. მოსახურების გაწევა აღირიცხება ბასს - 18 მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურების თვითღირებულება

თვითღირებულების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არის მიწოდებულ მომსახურებასთან, როგორიცაა, პირდაპირი დანახარჯები, იგი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანიჭილებელ მუდმივ და ცვლად ზედნაღებ ხარჯებს.

საკურსო სხვაობის აღიარება

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის, ფუნქციონალური ვალუტისთვის (ლარი) ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, საკურსო სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

დღგ-ს დარიცხვა

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში.

სალაროს ოპერაციების აღრიცხვა

მომსახურების მიმღებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით. კომპანიას არ გააჩნია საკონტროლო სალარო აპარატი.

ბანკის ოპერაციების აღრიცხვა

ბანკის ოპერაციების დამუშავება და პროგრამაში ასახვა წარმოებს ბანკის ამონაწერის მეშვეობით, რომელიც კონტროლდება მასში ასახული ოპერაციებზე შედგენილი პირველადი დოკუმენტების ანალიზით. საბუღალტრო პროგრამაში ასახული ბრუნვის მონაცემები ედრება ბანკის ამონაწერის მონაცემებს.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასდება სტანდარტის მე-11 პუნქტის მიხედვით.

იჯარის აღრიცხვა:

ბას 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ ჯარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად. სხვა შემთხვევაში - საოპერაიო იჯარად.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

კომპანია გადასახადის დაბეგვრას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ანხორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა.

კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშების თარიღისათვის. 2018 წელს კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება თუ ბიზნეს საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს განხორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 39- ის მიხედვით . ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე.

4 განმარტებითი შენიშვნები

ფული და ფულის ეკვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	119651.00	408.00
ეროვნული ვალუტა ბანკში	88804.00	9727.00
უცხოური ვალუტა ბანკში	903.00	14028.00
სულ	209358.00	24163.00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	659395.00	682727.00
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	0.00	1330.00
გადახდილი ავანსები	11440.00	16320.00
სულ	670835.00	700377.00

კლიენტის საკრედიტო რისკი იმართება კომპანიის მიერ დანერგილი კლიენტის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, პროცედურებითა და კონტროლის მექანიზმებით. კლიენტის საკრედიტო ხარისხი ფასდება საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელთა სისტემით და

იხდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები გახისაზღვრება ძხოლოდ ძსხვილი ძუდძივი კლიენტებისთვის მათი კრედიტუნარიანობის შეფასების და ამ კლიენტთან კომპანიის გამოცდილების მიხედვით, ასევე კლიენტის მხრიდან შესაბამისი საზღვაო ხაზის გამოყენებით საკონტინენტო მოცულობების რეგულარული გადაზიდვის გათვალისწინებით. საკრედიტო ლიმიტები კვარტალურად გადაიხედება კლიენტის ფაქტობრივი თანამშრომლობის მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეიცვლება.

ძირითადი საშუალებები

	2018	2017
ძირითადი საშუალებები	1222322.00	604535.00
სულ	1222322.00	604535.00

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	1343251.00	797525.00
ფინანსური იჯარის ვალდებულება	438909.00	0.00
სასესხო ვალდებულებები	304915.00	357944.00
სულ	2087075.00	1155469.00

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლებისათვის გადასახდელი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომელიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი საანგარიშო წლის დასასრულს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

საოპერაციო შემოსავლები

	2018	2017
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	5032645.00	6140463.00
საიჯარო შემოსავალი	0.00	9389.00
სულ	5032645.00	6149852.00

მომსახურების თვითღირებულება

2018	2017
(3231480.00)	(3878515.00)

კომპანიის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, აგრეთვე არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე სატრანსპორტო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები, ძირითადად ტვირთის საჰაერო გადაზიდვით იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი. 2017 წელს კომპანიას აგრეთვე გააჩნდა იურიდიულ პირზე ქონების იჯარით გაცემით მიღებული შემოსავალი.

არასაოპერაციო შემოსავლები

	2018	2017
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	121466.00	8915.00
საკურსო სხვაობა	60116.00	35970.00
სულ	181582.00	44885.00

არასაოპერაციო ხარჯები

	2018	2017
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	(118421.00)	(19752.00)
საკურსო სხვაობა	(87009.00)	(44493.00)
სულ	(205430.00)	(64245.00)

საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1692541	1950769
საიჯარო ქირა	0	39813
ავტომანქანის მომსახურების ხარჯები	2814	577
კომუნიკაციის ხარჯები-ტელეფონი, ინტერნეტი	6335	4079
საბანკო მომსახურების ხარჯები	14805	12558
დაზღვევის ხარჯები(ტვირთის და ავტომანქანის დაზღვევა)	9594	608
რემონტის ხარჯები	0	17907
კომპიუტერის ხარჯები	186	175
სამეურნეო ხარჯები	2253	493
წარმომადგენლობითი ხარჯი	4811	9002
საკანცელარიო	632	563
კომუნალური	2570	1508
მივლინების ხარჯები	10417	18481
საშუამავლო მომსახურების ხარჯები	114928	1664
ობიექტის დაცვის ხარჯები	763	301
ცვეთა და ამორტიზაცია	22180	2958
ქონების გადასახადი	4839	4416
დაუდასტურებელი-მოგების გადასახადით დასაბეგრი	15110	4502

სხვადასხვა
საპროცენტო ხარჯი
სულ

6626	5572
24079	2425
1935483	2078371

საწარმოს ხარჯები თავმოყრილია საოპერაციო ხარჯების ანგარიშებზე, ხარჯის ანგარიშები გამიჯნულია ერთმანეთისაგან თვისობრივი, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, შესაბამისად საბუღალტრო პროგრამაში ოპერაციები აღრიცხულია შესაბამის სააღრიცხვო ბარათებზე.

კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 0 ლარს.
2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას გააჩნდა 262193 ლარის გაუნაწილებელი მოგება
2017 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა მთლიანდ -262193 ლარის ოდენობის დივიდენდი, შესაბამისი გადასახადების ჩათვლით.
2018 წლის 01 იანვარის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 173606 ლარის გაუნაწილებელი მოგება.
2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდის განაწილება.
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე (საანგარიშო პერიოდის ზარალი-158166 ლარი), გაუნაწილებელი მოგების ოდენობა შეადგენს 15440 ლარს

მოგების გადასახადის აღრიცხვა

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად მისი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

5. საწარმოს ფუნქციონირების პრინციპი

წარმოდგენილი ანგარიშები და ინფორმაცია, რომელიც გამოხატავს კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შინაარსს და არის აღქმადი. საწარმოს აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. აღნიშნულთან დაკავშირებით საწარმოს მენეჯმენტი გეგმავს საოპერაციო ხარჯების შემცირებას და შემოსავლების ზრდას.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბერს
საწარმოს სახელით
დირექტორი
გიორგი გოდაბრელიძე